ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N20

ქ. თბილისი 2022 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის, **თამთა დემურიშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შ.პ.ს. „დეგა პრინტი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის, **ლაშა სოხაძე** სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების შესყიდვის საგანს წარმოადგენს სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის საჭიროებისათვის:

- **ბუკლეტების (საინფორმაციო-სარეკლამო) შესყიდვა;**
- **ბუკლეტები - CPV კოდი: 22160000;**

2 ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **265 (ორას სამოცდახუთი)** ლარს.

2.2 მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ღირებულება შეადგენს - 2.65 ლარს.

2.3 მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა - 100 ცალი.

2.4 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

3 ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4 დაფინანსების წყარო: **2022 წლის საბიუჯეტო ასიგნები.**

4 მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია **სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი ირაკლი სამხარაძე.**

5 საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, ვირსალაძის ქ. N8;

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება, მოთხოვნისამებრ, ხელშეკრულების გაფორმებიდან **2022 წლის 25 მაისამდე.**

6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 „შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან მონიტორინგი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირება) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

6.3 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისგან.

6.4 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს **სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის უფლებამოსილი წარმომადგენელი .**

7 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია, მოთხოვნისამებრ, განახორციელოს საქონლის მიწოდება. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხზე.

8 პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10 დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2022 წლის 30 ივნისის** ჩათვლით.

13 მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი	**შ.პ.ს. „დეგა პრინტი“**
მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2	მის: ქ. თბილისი, ვირსალაძის ქ. N8
საიდენტიფიკაციო კოდი 204493262	საიდენტიფიკაციო კოდი 204444477
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022	ა/ა GE24BG0000000272999700
---	---
დირექტორი	**დირექტორი**
თამთა დემურიშვილი	**ლაშა სოხაძე**

Tamta Demurishvili 59001004440

Digitally signed by Tamta Demurishvili
Date: 2022.05.24 13:38:38